ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №37

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>

ქ. ბათუმი 17 ოქტომბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ, ააიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ნატო ჯიბუტის სახით და მეორეს მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელის რამაზ ხინთიბიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საავტომობილო საწვავის (შემდგომში: „საწვავი" ან „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, (ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ 2016 წლის 17 ოქტომბერს გაცემული №3426 ნებართვის საფუძველზე.

1.2 შესყიდვის ობიექტია :

ა). 180 ლიტრი ევრო რეგულარი (ოქტანობა არანაკლებ 93-სა)

2. საწვავის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში:

ა). ერთი ლიტრი ევრო რეგულარის ფასი შეადგენს 1,48ლარს. (180 ლიტრის ღირებულება შეადგენს 266,40 ლარს)

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 266,40 (ორასსამოცდაექვსი და ორმოცი) ლარს, რაც შეიცავს დ.ღ.გ.-ს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების დაცვით, პლასტიკური ბარათებით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით, შემსყიდველის წინასწარი შეკვეთების შესაბამისად, 2016 წლის 31 ოქტომბრამდე. იმ შემთხვევაში, თუკი მიმწოდებელი გადაწყვეტს თავის ქსელში არსებული რომელიმე ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების ან/და რომელიმე ავტოგასამართ სადგურზე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სახეობის საწვავის რეალიზაციის შეწყვეტას, მან არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე უნდა აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის თაობაზე, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ საწვავის მიწოდება შეტყობინებაში მითითებული ავტოგასამართი სადგურიდან აღარ განხორციელდება.

4.2 საწვავის ფასი შეიცავს ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია მის მიწოდებასთან, მათ შორის, საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

4.3 პლასტიკური ბარათების მეშვეობით საწვავის შეძენისას, შემსყიდველის შეკვეთის საფუძველზე მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ"). შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება არაუგვიანეს მისი ელექტრონულად გამოწერის დღისა. „ენსაფ"-ის დადასტურების შემდეგ შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავი ჩაირიცხება (გააქტიურდება) შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად